ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი # 8

ქ. ონი 23. 08. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ორდინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლევან ორდინიძე, ბესიკი მაისურაძე, თამილა არჩვაძე, თორნიკე მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, მერაბ ბიჭაშვილი, ნონა მაისურაძე, ნინო გობეჯიშვილი, ნოდარ ბურდილაძე, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: გიორგი მეშვილდიშვილი, თამაზ მეტრეველი, ვლადიმერ ბერელიძე.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად (1 ლარად) საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მე-2 კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

3. 2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების ცვლილებების შესახებ. /მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად (1 ლარად) საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად (1 ლარად) საკუთრებაში გადაცემის შესახებ და განმარტა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით სოფ. სორის მოსახლეობამ გამოხატა პროტესტი, შედგა რამდენიმე შეხვედრა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასა და მოსახლეობას შორის და სოფლის მოსახლეობის მხრიდან შეთავაზებული იქნა ალტერნატიული მიწის ნაკვეთი სოფლის ტერიტორიაზე.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მე-2 კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მე-2 კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 3. 2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების ცვლილებების შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი 2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების ცვლილებების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს სხვადასხვა საკითხებზე.

ე. მაისურაძემ ისაუბრა ქალაქში დაზიანებული ტროტუარების რეაბილიტაციის აუცილებლობის შესახებ.

ნ. ბურდილაძემ ისაუბრა ფრაქციებისათვის სამუშაო პირობების შექმნის აუცილებლობაზე, რაზეც ლ. ორდინიძემ განაცხადა, რომ მომავალი წლიდან იგეგმება ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია, სადაც განთავსდება მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, ა(ა)იპ-ები და სხვ. სამსახურები.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლევან ორდინიძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე